



საქართველო  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 5201

06/11/2019

5201-09-2-201911061721



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს**

**ბატონო ბესიკ,**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, წარმოგიდგინებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

**1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი**

მოგახსენებთ, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლამის, 2019 წლის 15 ოქტომბრის N1/1-5187 ბრძანების თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, დამატებითი ქონების სახით გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ორი ერთეული ნაგავმზიდი და 150 ცალი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერი. აღნიშნული მოძრავი ქონების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, დაფუძნებული ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ (ს/ნ 433649322) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან აიპის ის ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული ფუნქციის განსახორციელებლად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

## 2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

## 3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის გიორგი ნაჭყებიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

## 4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი



მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის ნოემბერი

ქ. ლანჩხუთი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (FORD CARGO 2526 NMOLKXTP 6LFD97340, 19 მ<sup>3</sup> EFE- ს დანადგარი - სახელმწიფო ნომრით SZ-281-ZS; FORD CARGO 2526 NMOLKXTP6LFD97330, 19 მ<sup>3</sup> EFE- ს დანადგარი - სახელმწიფო ნომრით SZ-282-ZS და 150 (ასორმოცდაათი) ცალი 1.1 მ<sup>3</sup> მოცულობის ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერი.) ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ (ს/ნ 433649322) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე



KA021790073727019



სახელმწიფო ქონების  
ეროვნული სააგენტო

## ბრძანება

N1/1-5187

15 / ოქტომბერი / 2019 წ.

### სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 113-ე მუხლის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის № 391 დადგენილების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის 20.06.2019წ. N3196, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის 08.07.2019წ. N8643, 10.09.2019წ. N11514 წერილებისა და სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის 11.10.2019წ. N106110 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გადაეცეს საკუთრებაში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, დამატებითი ქონების სახით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული FORD CARGO 2526, NMOLKXTP6LFD97340, 19მ<sup>3</sup> EFE-ს დანადგარით, სახელმწიფო ნომრით SZ-281-ZS; FORD CARGO 2526, NMOLKXTP6LFD97330, 19მ<sup>3</sup> EFE-ს დანადგარით სახელმწიფო ნომრით SZ-282-ZS და 150 (ასორმოცდაათი) ცალი 1,1 კუბ.მ. ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერი.
2. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, 0114, სანაპიროს ქუჩა № 2) ბრძანების გამოცემიდან 1 თვის ვადაში და შემდგომ სასამართლოში.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღეს.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული  
სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე